ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2023 წლის 6 ივლისი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 132-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/12/2017; 010250050.35.143.016452) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დადგენილების მე-5 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**პ**. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43^{1}, $43^{2,}$, 46^{5}, 46^{6}, 53^{3}, 55-ე, 55^{2}, 55^{3}, 55^{6}, 77^{1}, 77^{2}, 82^{5}, 103-ე, 119^{1}, 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-16 ნაწილებით, 125^{4}, 127^{1} მუხლის მე-5 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^{1}, 135-ე, 135^{1}, 146^{1}, 148-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუქტების, 150-ე, 150^{1}, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{2}, 152-ე, 152^{2},152^{5}, 152^{6}, 152^{7}, 152^{8}, 152^{9}, 153^{4}, 158^{5} მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^{1}, 172^{8} და 172^{9}, მუხლებით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 39-ე მუხლის და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, საართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საფუძველზე .“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ლიპარტელიანი**